

კომაროვის მათემატიკის ჩემპიონატის დებულება

მუხლი 1. ჩემპიონატის მიზანი და მოქმედების სფერო

1. ჩემპიონატი იმართება კომაროვის სკოლის მოსწავლეთათვის.
2. ჩემპიონატის მიზანია - მოსწავლეებში მათემატიკის სწავლისადმი მოტივაციის ამაღლება და სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნება.

მუხლი 2. ჩემპიონატის ჩატარების ფორმატი

1. ჩემპიონატი შედგება 5 ლიგისაგან:
 - 1.1. მე-7 კლასის ლიგა (მე-7 კლასის მოსწავლეთათვის);
 - 1.2. მე-8 კლასის ლიგა (მე-8 კლასის მოსწავლეთათვის);
 - 1.3. მე-9 კლასის ლიგა (მე-9 კლასის მოსწავლეთათვის);
 - 1.4. გრიგოლ წულაიას ლიგა (მე-10, მე-11 და მე-12 კალსელი მოსწავლეებისთვის);
 - 1.5. სუპერლიგა (საორგანიზაციო საბჭოს მიერ შერჩეული მოსწავლეებისათვის);
2. თითოეული ლიგა მოიცავს 6 ტურს. სუპერლიგის გარდა პირველი ტური, ამავდროულად წარმოადგენს ჩემპიონატის შესარჩევ ტურს და მონაწილე მოსწავლეები მოიპოვებენ ლიგაში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.

მუხლი 3. მონაწილეები

1. მე-7 კლასის, მე-8 კლასისა და მე-9 კლასისა ლიგების პირველ (შესარჩევ) ტურში მონაწილეობას მიიღებენ საორგანიზაციო საბჭოს მიერ შერჩეული შესაბამისად მე-7 კლასის, მე-8 კლასისა და მე-9 კლასის მოსწავლეები. საორგანიზაციო საბჭო შესაბამისი სასწავლო წლის მათემატიკის პირველი და მეორე ქვიზის შედეგების მიხედვით იხელმძღვანელებს.
2. გრიგოლ წულაიას ლიგის პირველ (შესარჩევ) ტურში მონაწილეობას მიიღებენ საორგანიზაციო საბჭოს მიერ შერჩეული მე-10 კლასის, მე-11 კლასისა და მე-12 კლასის მოსწავლეები. საორგანიზაციო საბჭო შესაბამისი სასწავლო წლის მათემატიკის პირველი და მეორე ქვიზის შედეგების მიხედვით იხელმძღვანელებს.
3. სუპერლიგაში მონაწილეობას მიიღებს საორგანიზაციო საბჭოს მიერ შერჩეული მოსწავლეები, რომლებიც გრიგოლ წულაიას ლიგაში მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე უარს იტყვის სუპერლიგაში მონაწილეობაზე, მას მიეცემა უფლება, მონაწილეობა გრიგოლ წულაიას ლიგაში მიიღოს.
4. საორგანიზაციო საბჭო უფლებამოსილია ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მისცეს იმ მოსწავლეს, რომელსაც აქვს წარმატებები ეროვნულ ან/და საერთაშორისო ოლიმპიადებზე. ამ საკითხს საბჭო განიხილავს გაფართოებულ ფორმატში (მოსწავლის მათემატიკის მასწავლებელთან ერთად).
5. პირველი ტურის შემდეგ ყოველი მოსწავლე მონაწილეობას იღებს მხოლოდ ერთ ლიგაში.

6. მეორე ტურში გადავა პირველი ტურში რეიტინგის შესაბამის ლიგაში დაშვებული რაოდენობის მიხედვით საუკეთესო შედეგების მქონე მოსწავლეები.

7. **მე-7 კლასის ლიგაში** - პირველი (შესარჩევი) ტურის წერის შედეგად მომდევნო ტურებში მონაწილეობს რეიტინგის საუკეთესო შედეგის მქონე 40 მოსწავლე, აგრეთვე ის მოსწავლე, რომელსაც ექნება იგივე შედეგი, რაც რეიტინგით მე-40 შედეგის მქონე მოსწავლეს

8. **მე-8 კლასისა და მე-9 კლასის ლიგებში თითოეულში** - პირველი (შესარჩევი) ტურის წერის შედეგად მომდევნო ტურებში მონაწილეობს რეიტინგის საუკეთესო შედეგის მქონე 30 მოსწავლე, აგრეთვე, ის მოსწავლე, რომელსაც ექნება იგივე შედეგი, რაც რეიტინგით 30-ე შედეგის მქონე მოსწავლეს.

10. **გრიგოლ წულაიას ლიგაში** - პირველი (შესარჩევი) ტურის წერის შედეგად მომდევნო ტურებში მონაწილეობს რეიტინგის საუკეთესო შედეგის მქონე 40 მოსწავლე, აგრეთვე ის მოსწავლე, რომელსაც ექნება იგივე შედეგი, რაც რეიტინგით მე-40 შედეგის მქონე მოსწავლეს.

11. **სუპერლიგაში მონაწილეობს** - არაუმეტეს 13 მოსწავლე.

მუხლი 4. ქულის მინიჭებისა და მისი გამოთვლის წესი:

1. თითოეული ლიგის ექვსივე ტურში მოსწავლეებს ენიჭებათ ქულები. პირველი ტურების შედეგები ითვლება.

2. პირველ ტურში მოსწავლის ქულა ტოლია: მისი ქულა გამრავლებული 100-ზე და შეფარდებული ამ ტესტის შესაძლო მაქსიმალურ ქულასთან, დამრგვალებული მეათედის სიზუსტით.

3. მეორე ტურიდან მეექვსე ტურის ჩათვლით მოსწავლის ქულა ტოლია: მისი მიღებული ქულა გამრავლებული 100-ზე და შეფარდებული ამ ტურის თითოეულ ამოცანაში დაწერილი მაქსიმალური ქულების ჯამთან, დამრგვალებული მეათედის სიზუსტით (მაგალითად ტესტი შედგებოდა 5 ამოცანისგან: თითოეული ამოცანის მაქსიმალური შესაძლო ქულა იყო 5. ამ მოცანებში დაიწერა შესაბამისად, მაქსიმალური ქულები: 5; 5; 5; 5 და 2. ამ შემთხვევაში მოსწავლის მიღებული ქულა გამრავლდება 100-ზე და გაიყოფა 22-ზე და დამრგვალდება მეათედის სიზუსტით.

4. ჩემპიონატის ფარგლებში 1 უარესი შედეგი უქმდება (უარესი შედეგი გათვალისწინებული იქნება რეიტინგის დაზუსტების აუცილებლობის შემთხვევაში). ტურის გაცდენაზე მოსწავლეს ეწერება 0 ქულა. ჩემპიონატის ფარგლებში მაქსიმალური ჯამური ქულა არის 500.

მუხლი 5. შედეგების გამოქვეყნება:

თითოეული ტურის ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 კვირაში გამოქვეყნდება პირველადი შედეგები და საორგანიზაციო საბჭო მიიღებს და განიხილავს აპელაციებს. პირველადი შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 5 დღეში დაიდება ტურის საბოლოო შედეგები.

მუხლი 6. გამარჯვებულის გამოვლენა და ჯილდოები:

1. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებსაც გადაეცემათ დიპლომები და პრიზები.

➤ **მე-7 კლასის, მე-8 კლასის, მე-9 კლასისა და გრიგოლ წულაიას ლიგების გამარჯვებულებს:**

თითოეული ლიგის ჩემპიონს გადაეცემა 300 ლარიანი პრიზი; მეორეადგილოსანს - 200 ლარიანი პრიზი; მესამეადგილოსანს - 100 ლარიანი პრიზი.

➤ სუპერლიგის გამარჯვებულებს: ჩემპიონს გადაეცემა ჩემპიონის თასი და 500 ლარიანი პრიზი; მე-2 ადგილოსანს - 300 ლარიანი პრიზი; მე-3 ადგილოსანს - 200 ლარიანი პრიზი.

2. გარდა ჩემპიონატის გამარჯვებულებისა, სკოლის დირექცია უფლებამოსილია, დაადგინოს სხვა პრიზებიც.

✓ თითოეული ლიგაში გამარჯვებული პირველი 3 მოსწავლის მასწავლებელს გადაეცემა ფულადი ჯილდო;

✓ თითოეულ ლიგაში ყველა მოსწავლე, რომლის ჯამური ქულა იქნება 250 ან მეტი, დაჯილდოვდება ან პირველი ხარისხის დიპლომით, ან მეორე ხარისხის დიპლომით, ან მესამე ხარისხის დიპლომით ან საპატიო სიგელით.

✓ მე-7 კლასის, მე-8 კლასისა და მე-9 კლასის ლიგებში თითოეულში პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდება რეიტინგის პირველი 3 მოსწავლე, მეორე ხარისხის დიპლომით - რეიტინგის მომდევნო 6 მოსწავლე, მესამე ხარისხის დიპლომით - რეიტინგის მომდევნო 10 მოსწავლე, თუ მათი მიღებული ქულა იქნება 250 ან მეტი.

✓ გრიგოლ წულაიას ლიგაში პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდება რეიტინგის პირველი 5 მოსწავლე, მეორე ხარისხის დიპლომით - რეიტინგის მომდევნო 10 მოსწავლე, მესამე ხარისხის დიპლომით - რეიტინგის მომდევნო 16 მოსწავლე, თუ მიღებული ქულა იქნება 250 ან მეტი.

✓ სუპერლიგაში პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდება რეიტინგის პირველი 3 მოსწავლე, მეორე ხარისხის დიპლომით - რეიტინგის მომდევნო 4 მოსწავლე, მესამე ხარისხის დიპლომით - რეიტინგის მომდევნო 5 მოსწავლე, თუ მიღებული ქულა იქნება 250 ან მეტი.

✓ თუ მოსწავლემ დააგროვა 250 ან მეტი ქულა და ვერ მიიღო პირველი, მეორე ან მესამე ხარისხის დიპლომი, დაჯილდოვდება საპატიო სიგელით.

მუხლი 7. თითოეული ლიგის მონაწილისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელი პირობები:

❖ პლაგიატის ნებისმიერ გამოვლენაზე მოსწავლე იხსნება ჩემპიონატიდან და მოქმედებს სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ნორმები.

❖ სკოლის დირექცია უფლებამოსილია, ჩემპიონატიდან მოხსნას მოსწავლე სკოლაში დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 8. ჩემპიონატის ჩატარებაზე პასუხისმგებელი გუნდი

ჩემპიონატის ჩატარებას, საორგანიზაციო პროცედურებს, ტურების თარიღებს, ბილეთის სტრუქტურას და ა.შ. - განსაზღვრავს დირექტორის მიერ შექმნილი „კომაროვის მათემატიკის ჩემპიონატის საბჭო“.

გამონაკლისი ამ წესიდან დაიშვება მხოლოდ სკოლის დირექციის თანხმობით.